შერვუდ ანდერსონი

# სიკვდილი

(მოთხრობათა კრებულიდან „ უაინსბურგი, ოჰაიო.“)

ინგლისურიდან თარგმნა ზურაბ სონღულაშვილმა

თბილისი, 2020 წ.

# სიკვდილი

ექიმ რიფის ოფისი „ჰეფნერ ბლოკში“ იყო, ქალაქ პარიზის ქსოვილებისა და აქსესუარების მაღაზიის თავზე. ოფისში მოხვედრა შეიძლებოდა კიბეებით, რომელსაც კედელზე მიმაგრებული ბინძური ლამფის მკრთალი შუქი ანათებდა. ლამფას თუნუქის რეფლექტორი ეკეთა, ჟანგისაგან ფერდაკარგული და სულ მთლად მტვრით დაფარული. კიბეზე ამსვლელი ადამიანები უფრო ადრე მოსულთა ნაკვალევს მიჰყვებოდნენ ხოლმე. კიბის რბილი ფიცრები ნაბიჯების ზეწოლით ჩაზნექილიყო და მთელ სიგრძეზე ღრმა ფოსოები აჩნდა.

კიბის ბოლოში მარჯვნივ თუ გაუხვევდით, პირდაპირ ექიმის კაბინეტის კარს მიადგებოდით, მარცხნივ კი გზა ბნელი დერეფნისკენ მიდიოდა, რომელიც ძველი სკამებით, სახერხი ჯოჯგინებით, პწკალებით, ცარიელი ყუთებით და სხვა ხარახურით იყო სავსე. ძველმანების ეს გროვა ქალაქ პარიზის ქსოვილების და აქსესუარების კომპანიას ეკუთვნოდა. მაღაზიის დახლები და თაროები, რომლებიც დროთა განმავლობაში გამოუსადეგარი ხდებოდა, მაღაზიის გამყიდველებს კიბით აჰქონდათ და გროვაზე ყრიდნენ.

ექიმი რიფის ოფისი ძალიან დიდი ზომის იყო. ოთახის შუაგულში მრგვალმუცლიანი ღუმელი იდგა, რომლის ირგვლივ ნახერხის გროვა ეყარა. ნახერხი იატაკზე მილურსმული სქელი ფიცრებით იყო ყოველი მხრიდან შემოკავებული. კარებთან მდგარი უზარმაზარი მაგიდა ერთდროს ჰერიკის ტანსაცმლის მაღაზიას ეკუთვნოდა, რომელსაც შეკვეთით დამზადებული ტანსაცმლის გამოსაფენად იყენებდნენ. მაგიდაზე წიგნები, ბოთლები და ქირურგიული იარაღები ეყარა. მაგიდის კიდეზე ვაშლები ელაგა, რომლებსაც ექიმ რიფის მეგობარი, სანერგე მეურნეობის თანამშრომელი ჯონ სფეინიარდი ტოვებდა. კარებში გამოჩენისთანავე ვაშლებს ჯიბიდან ამოაძვრენდა ხოლმე.

| | |
|---|---|
| შუახნის ასაკს მიღწეული ექიმი რიფი მაღალი და ტლანქი კაცი იყო. ზედა ტუჩზე ყავისფერი ულვაში გაეზარდა და უკვე შეჭაღარავებულ წვერსაც ატარებდა. ექიმზე მოხდენილ კაცს ვერ იტყოდით. მით უფრო, როცა ასაკში შევიდა. ერთი პრობლემა სერიოზულად აწუხებდა, ხელ-ფეხი სად წაეღო, არ იცოდა. | |
| ზაფხულის დღეებში, როცა ექიმი უკვე დიდი ხნის დაოჯახებული იყო, და მისი ერთადერთი ბიჭი ჯორჯი თორმეტი თუ თოთხმეტი წლისა იქნებოდა. მის კაბინეტს ზოგჯერ ელიზაბეთ უილარდი სტუმრობდა. ეს მაღალი ქალი მხრებში მოხრილიყო და ტანს უსიცოცხლოდ მიათრევდა. მისის უილარდი ექიმის სანახავად ვითომდა ჯანმრთელობის გამო დადიოდა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მისი ვიზიტების ძირითადი მიზანი მის ჯანმრთელობას ნაკლებად უკავშირდებოდა. ქალი და ექიმი უაინსბურგში გატარებულ ცხოვრებას იხსენებდნენ. | |
| დიდ, ცარიელ კაბინეტში ქალი და მამაკაცი ისხდნენ და ერთმანეთს უყურებდნენ. ისინი ერთმანეთს ძალიან წააგავდნენ. არა ფიზიკურად ან თვალის ფერით, ცხვირის სიგრძით ან მათი ცხოვრებისეული გარემოებებით, არამედ რაღაცით შინაგანად ჰგავდნენ ერთმანეთს. ორივეს ერთნაირად სწყუროდა რაღაცისგან დაცლა და ალბათ გვერდიდან მაყურებლების მოგონებებშიც ერთმანეთის მსგავს შთაბეჭდილებებს დატოვებდნენ. მოგვიანებით, როცა ექიმი ასაკში შევიდა და ახალგაზრდა ქალზე დაქორწინდა, ცოლს ხშირად უყვებოდა ავადმყოფ ქალთან გატარებულ დროზე და მისთვის გაცილებით ბევრი რამის თქმას ახერხებდა, ვიდრე ელიზაბეთთან ურთიერთობისას. ასაკს მიღწეული ექიმი თითქმის პოეტივით იყო და მოვლენათა შესახებ პოეტური აღმაფრენით საუბრობდა. „ჩემს ცხოვრებაში, რაღაც ეტაპზე, ჩემთვის ლოცვა აუცილებელი გახდა. ამიტომ, მე ღმერთები გამოვიგონე და მათზე ვლოცულობდი,“- თქვა მან. - ლოცვებს სიტყვებით არ ვამბობდი, არც მუხლზე ჩოქვით. ჩემს სკამზე ვიჯექი, სრულიად მშვიდად. შუადღეს, როცა მეინ სთრითზე ჩამოცხებოდა და სიჩუმე დაისადგურებდა, ან ზამთარში, პირქუში დღეები | |

| | |
|---|---|
| როცა დადგებოდა, ღმერთები ჩემს ოფისს სტუმრობდნენ და მეგონა, მათ შესახებ ჩემს გარდა სხვამ არავინ იცოდა. შემდეგ აღმოვაჩინე, რომ თურმე ამ ქალსაც, ელიზაბეთსაც სცოდნია. ისიც თურმე იგივე ღმერთებს ეთაყვანებოდა. ასე მგონია, ოფისში იმიტომ მოდიოდა, რომ სჯეროდა, იქ ღმერთები დახვდებოდნენ". ასე თუ ისე, იგი მაინც ბედნიერი იყო, რომ მარტო არ რჩებოდა. ძნელია ამ შეგრძნების სიტყვებით გადმოცემა, თუმცა ვფიქრობ, რომ ასეთი რამ ქალის და მამაკაცის ცხოვრებაში ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში ხდება. | |
| | |
| ზაფხულობით, როცა მოსაღამოვდებოდა, ელიზაბეთი და ექიმი ოფისში ისხდნენ და თავიანთ და სხვების ცხოვრებაზე ლაპარაკობდბდნენ. ზოგჯერ, ექიმი ფილოსოფიურ ეპიგრამებს აცხობდა და კმაყოფილებით ხითხითებდა. დროდადრო, რამდენიმე წუთით ჩამოწოლილი სიჩუმის შემდეგ, მოულოდნელად წარმოთქმული ან გადაკვრით ნათქვამი სიტყვა მოსაუბრის ცხოვრებას საოცარ სინათლეს ფენდა, სურვილი ნატვრად გადაიქცეოდა, ნახევრად ჩამკვდარი ოცნება კი მოულოდნელად სიცოცხლედ იფეთქებდა. ასეთს სიტყვებს ძირითადად ქალის ბაგეები წარმოთქვამდნენ და იმ მომენტში ქალი მამაკაცს არ უყურებდა. | |
| ექიმთან ყოველი ვიზიტის დროს, სასტუმროს მეპატრონის ცოლი საუბრის დროს თავს სულ უფრო და უფრო თავისუფლად გრძნობდა და მასთან გატარებული ერთი-ორი საათის შემდეგ ოფისიდან კიბეებით მეინ სთრითზე რომ გავიდოდა, უფერულად გატარებული დღეების ფონზე, გრძნობდა სიცოცხლით და ენერგიით როგორ ივსებოდა. ასეთ დროს ქალი ქუჩაში მისი ყმაწვილქალობის მსგავსი მიხვრა-მოხვრით მიაბიჯებდა. თუმცა, როგორც კი თავის სასტუმროს მიაშურებდა და ფანჯარასთან მდგარ სკამზე დაჯდებოდა, მწუხრი ჩამოწვებოდა და სასადილო ოთახიდან მოახლე გოგოს მიერ ლანგრით მოტანილი ვახშამი თეფშზე გაციებული რჩებოდა. ქალი ფიქრებით ყმაწვილქალობის დროს უბრუნდებოდა. იხსენებდა მხურვალე | |

| | |
|---|---|
| ლტოლვას თავგადასავლებისადმი. ახსენდებოდა იმ მამაკაცთა მკლავები, რომლებიც ეხვეოდნენ. მაშინ ეს ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო. განსაკუთრებით დაამახსოვრდა ერთი მამაკაცი, რომელიც ერთხანს მისი საყვარელი იყო და ვნებიანობის დროს ქალს ერთი და იგივე სიტყვებს ასჯერ მაინც შეშლილივით უყვიროდა: „ჩემო ძვირფასო! ჩემო ძვირფასო! ჩემო ლამაზო!“ მისი აზრით, ეს სიტყვები გამოხატავდა იმას, რის მიღწევასაც ცხოვრებაში ელტვოდა. | |
| სასტუმროს მეპატრონის სნეული ცოლი ძველ უბადრუკ სასტუმროში, თავის ოთახში იჯდა და ქვითინებდა. ხელები სახეზე აეფარებინა და სკამზე წინ და უკან ირწეოდა. ყურებში მისი ერთადერთი მეგობრის, ექიმ რიფის სიტყვები ჩაესმოდა. „სიყვარული ქარსა ჰგავს, ბნელ ღამეში ხეების ქვეშ ბალახს რომ აშრიალებს,“- ამბობდა ექიმი. - ნუ ცდილობთ, სიყვარული, როგორც რაღაც ცხადი, ისე წარმოიდგინოთ. ეს ცხოვრების ღვთიური შემთხვევითობაა. თუ შეეცდებით მის მიმართ რეალისტი და თავდაჯერებული იყოთ, თანაც იმავდროულად ხეების ქვეშ იცხოვროთ, სადაც საამო ღამის ნიავი უბერავს, მოულოდნელად დაგიდგებათ იმედგაცრუების დღე და თქვენს კოცნისაგან დალბილებულ აალებულ ტუჩებს გვერდით ჩავლილი დროგისგან ავარდნილი ქვიშიანი მტვერი დაედება.’’ | |
| ელიზაბეთ უილარდს დედა არ ახსოვდა. გოგონა მხოლოდ ხუთი წლის იყო, როცა იგი გარდაიცვალა. მისმა ყმაწვილქალობამ წარმოუდგენლად ქაოტურად ჩაირა. მამამისი ის კაცი იყო, რომელსაც უნდოდა მისთვის მშვიდად ცხოვრება ეცლიათ, მაგრამ სასტუმროს საქმეები ამის საშუალებას არ აძლევდა. ის სულ ავადმყოფობდა და ავადმყოფობით გარდაიცვალა. ყოველ გათენებას მომღიმარი სახით ეგებებოდა, მაგრამ დილის ათი საათისთვის ეს სიხარული მისი გულიდან მთლიანად ქრებოდა. როდესაც რომელიმე სტუმარი სასტუმროს კვების გადასახადზე დაიჩივლებდა ან ლოგინების დამლაგებელი რომელიმე გოგო გათხოვდებოდა და სასტუმროს დატოვებდა, მამა იატაკზე ფეხების ბაკუნით ილანძღებოდა. ღამე დასაძინებლად რომ | |

| | |
|---|---|
| მიდიოდა, თავის ქალიშვილზე ფიქრობდა, რომელიც სასტუმროს კლიენტებს შორის იზრდებოდა. ასეთ დროს კაცს სევდა შემოაწვებოდა. როცა გოგო გაიზარდა და საღამოობით სახლიდან მამაკაცებთან შესახვედრად გადიოდა, მამა მასთან დალაპარაკებას ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. სათქმელი ყოველთვის ავიწყდებოდა და დროს თავის საქმეებზე წუწუნში ატარებდა. | |
| სიყმაწვილეში და მოგვიანებითაც, როცა ფეხი ქალიშვილობაში შედგა, ელიზაბეთი ნამდვილი თავგადასავლების მაძიებელივით იქცეოდა. თვრამეტი წლის რომ გახდა, ცხოვრების მორევში გადაეშვა და უბიწოება დაკარგა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ტომ უილარდზე დაქორწინებამდე ნახევარი დუჟინი საყვარელი ჰყავდა, მისი თავგადასავლები მხოლოდ სურვილით არასდროს ყოფილა ნაკარნახევი. ამ ქვეყნად ყველა სხვა ქალის მსგავსად, მასაც უნდოდა ნამდვილი შეყვარებული ჰყოლოდა. ბრმად, გატაცებით ყოველთვის რაღაც დაფარულ სასწაულს ეძებდა. ტანის ნარნარი რხევით მამაკაცებთან ერთად ხეივანში სეირნობისას მაღალი ლამაზი გოგონას ხელი ყოველთვის სხვის ხელს ეძებდა. მასთან მოარშიყე მამაკაცების ბაგეებიდან ლუღლუღით წარმოთქმული სიტყვებიდან კი ცდილობდა მისთვის საჭირო ჭეშმარიტება ეპოვნა. | |
| ელიზაბეთი ტომ უილარდს, მამამისის სასტუმროს კლერკს ცოლად იმიტომ გაჰყვა, რომ იგი იქვე, ხელის გაწვდენაზე იყო და ტომის დაქორწინების სურვილი ქალის გათხოვების გადაწყვეტილებას დაემთხვა. რაღაც დროის განმავლობაში, როგორც ახალგაზრდა ქალების უმრავლესობას, მასაც ეგონა, რომ ქორწინება მის ცხოვრებას ძირეულად შეცვლიდა. ტომთან ქორწინებასთან დაკავშირებით მის გონებაში დარჩენილი ეჭვები ქალმა თავიდან მოიცილა. იმ დროს მამამისი სიკვდილის პირას იყო, ქალი კი თავის მხრივ საგონებელში იყო ჩავარდნილი იმ საქმის უაზრო შედეგით, რომელშიც იგი სულ ცოტა ხნის წინ აღმოჩნდა ჩათრეული. უაინსბურგში მცხოვრები მისი თანატოლი | |

| | |
|---|---|
| გოგოები თხოვდებოდნენ იმ მამაკაცებზე, რომელთაც ელიზაბეთი მთელი ცხოვრება იცნობდა - ქსოვილების და აქსესუარების მაღაზიების კლერკებზე, ფერმერებზე. საღამოობით ისინი თავიანთ ქმრებთან ერთად მეინ სთრითზე დასეირნობდნენ და როცა ელიზაბეთს გვერდით ჩაუვლიდნენ, ბედნიერად იღიმოდნენ. ელიზაბეთმა დაიწყო იმაზე ფიქრი, რომ ქორწინების ფაქტი შესაძლოა რაღაც ფარულ აზრს შეიცავდა. ახალგაზრდა ცოლები, რომლებსაც იგი ესაუბრებოდა, ნაზად და დამორცხვებით აცხადებდნენ: „სულ სხვაა, როცა შენი საკუთარი მამაკაცი გყავს.“ | |
| ქორწინების წინა საღამოს საგონებელში ჩავარდნილი გოგო მამას დაელაპარაკა. მოგვიანებით, იგი ცდილობდა გაერკვია, რამდენად იმოქმედა ავადმყოფ კაცთან გატარებულმა საათებმა მისი გათხოვების გადაწყვეტილებაზე. მამა ლაპარაკობდა თავის ცხოვრებაზე და ურჩევდა არ გაემეორებინა ის შეცდომები, რაც თვითონ დაუშვა. მან ტომ უილარდი აუგად მოიხსენია, რის გამოც ელიზაბეთი კლერკის მხარეზე დადგა. ავადმყოფი აღელვებული იყო და საწოლიდან წამოდგომას ცდილობდა. როცა ქალიშვილმა ამის უფლება არ მისცა, ჩივილი დაიწყო. „არასდროს მანებებდნენ თავს, - წუხდა ის. - ბევრს ვმუშაობდი, მაგრამ სასტუმრო მაინც წამგებიანი იყო. ახლაც კი ბანკის ვალი მაქვს. შენ თვითონ ნახავ, როცა ამ ქვეყნიდან წავალ.'' სერიოზულობისგან მოხუცს ხმა უფრო დაეძაბა. წამოდგომა არ შეეძლო, ხელი გაიშვირა და ქალიშვილის თავი მის თავთან ახლოს მიიტანა. „გამოსავალი არსებობს,“- ჩურჩულით თქვა მან. - არ გაჰყვე ცოლად ტომ უილარდს ან სხვა ვინმეს აქ, უაინსბურგში. ჩემს ჩემოდანში, პატარა ყუთში რვაასი დოლარია. აიღე და წადი აქედან.“ მოხუცს ხმაში კიდევ უფრო უკმაყოფილო ტონი შეეპარა. „დამპირდი, - მტკიცე ხმით თქვა მან. - თუ ვერ დამპირდები, რომ ტომს ცოლად არ გაყვები, მაშინ სიტყვა მომეცი, რომ ფულის შესახებ მას არასოდეს არაფერს ეტყვი. ფული ჩემია და შენ გაძლევ. იმის უფლებაც მაქვს შენგან მოვითხოვო, ასე მოიქცე. ფული სადმე გადამალე. ეს კომპენსაციაა იმისათვის, რომ კარგი მამობა ვერ გაგიწიე. | |

| | |
|---|---|
| ოდესმე, ამ ფულმა შეიძლება ცხოვრებაში კარი ფართოდ გაგიღოს. მე ვკვდები, გთხოვ, დამპირდი.“ | |
| | |
| | |
| | |
| ელიზაბეთი, ორმოცდაერთი წლის ასაკში ცხოვრებისგან უკვე დაღლილი და გაძვალტყავებული მოხუცი ქალი, ექიმ რიფის კაბინეტში ღუმელთან ახლოს სკამზე იჯდა და იატაკს ჩაშტერებოდა. ფანჯარასთან ახლოს, პატარა საწერ მაგიდასთან ექიმი ჩამომჯდარიყო და ხელში გრაფიტის ფანქარს ათამაშებდა. ელიზაბეთი გათხოვების შემდგომ წლებზე ალაპარაკდა. განყენებულად საუბრობდა, ქმრის სახელს არ ახსენებდა და როცა რაღაცის დაზუსტება უნდოდა, მავანი და მავანით მოიხსენიებდა. „მოკლედ, შემდეგ დავქორწინდი, მაგრამ არაფერი კარგი ამას არ მოჰყოლია.“ -სინანულით წარმოთქვა მან. -როგორც კი ეს ამბავი მოხდა, შიშმა შემიპყრო. ალბათ, იმიტომ, რომ ადრე ზედმეტად ბევრი რამ ვიცოდი, შემდეგ კი, ქორწინების პირველ ღამეს, ზედმეტად ბევრი რამ გავარკვიე. არ მახსოვს. | |
| რა სულელი ვიყავი. როცა მამამ ფული მომცა და ცდილობდა ჩემთვის ქორწინება გადაეთქმევინებინა, არ დავუჯერე. იმაზე ვფიქრობდი, რასაც ქორწინებაზე გათხოვილი გოგოები ლაპარაკობდნენ და მეც გათხოვება მომინდა. ტომი არაფერში მჭირდებოდა, უბრალოდ გათხოვება მინდოდა. მამას რომ ჩაეძინებოდა, ფანჯრიდან თავს გავყოფდი და ჩემ ცხოვრებაზე დავფიქრდებოდი. არ მინდოდა ცუდი ქალის სახელი მქონოდა. ქალაქში ჩემ შესახებ ათასნაირი ჭორები დადიოდა. ის კი არა და, უკვე მეშინოდა კიდეც, ტომს არ გადაეფიქრა.’’<br><br>ქალს მღელვარებისგან ხმა აუკანკალდა. ექიმი რიფი, რომელსაც ვერ გაეგო რა ხდებოდა, ქალი ნელ-ნელა უყვარდებოდა. მას უცნაური ილუზია დაეუფლა. ეჩვენებოდა, რომ საუბრის დროს ქალის სხეული შეიცვალა, გაახალგაზრდავდა, წელში გაიმართა, უფრო ძლიერი გახდა. როცა ეს ილუზია თავიდან ვერ მოიშორა, მან საუბარი პროფესიულ კალაპოტში გადაიყვანა. „ასეთი საუბარი სასარგებლოა, როგორც მისი | |

| | |
|---|---|
| სხეულისთვის, ასევე მისი სულისთვის.“ - თავისთვის წაიჩურჩულა მან.<br><br>ქალმა გაიხსენა შემთხვევა, რომელიც ერთ საღამოს, მისი ქორწინებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მოხდა. ქალის ხმას სიმტკიცე მიეცა. „გვიან საღამოს ეტლით სასეირნოდ მარტო გავემგზავრე. - დაიწყო მან.- ეტლში პატარა ნაცრისფერი პონი შევაბი, რომელიც მოიერის საჯინიბოში მყავდა. ტომი სასტუმროში ოთახებს ღებავდა და შპალერს აკრავდა. მას ფული სჭირდებოდა, მე კი ჯერ კიდევ ვყოყმანობდი, მიმეცა თუ არა მისთვის მამაჩემის დატოვებული რვაასი დოლარი. ვერ გადამეწყვიტა, როგორ მოვქცეულიყავი. ჩემი ქმარი დიდად არ მომწონდა. მას იმ დროს ხელები და სახე მუდამ საღებავით ჰქონდა მოთხუპნული და საღებავის სუნით ყარდა. ტომი ცდილობდა ძველი სასტუმრო შეეკეთებინა, განეახლებინა და გაელამაზებინა.’’ | |
| | |
| | |
| აღელვებული ქალი სკამზე გასწორდა. სწრაფი ქალური ჟესტებით ყვებოდა ზაფხულის ერთ დღეს ეტლით სასეირნოდ მარტო როგორ გაემგზავრა. „ცა მოიქუფრა, ქარბუქი ახლოვდებოდა. შავი ღრუბლების გამო ხეები და ბალახი ისეთი ღაჟღაჟა მწვანე იყო, რომ თვალები ამტკივდა. ტრუნიონ პაიკამდე ერთი მილი ან ცოტა მეტი გავიარე და სოფლის შარაგზაზე გადავედი. პატარა ცხენი აღმართ-დაღმართზე მარდად მიხტოდა. მოუთმენლობა დამეუფლა. ფიქრები მომეძალა და ვცდილობდი თავიდან მომეშორებინა. ცხენს მათრახით ცემა დავუწყე. შავი ღრუბლები ქვემოთ დაეშვნენ და გაწვიმდა. მინდოდა საშინელი სისწრაფით მექროლა და მექროლა შეუჩერებლივ. მინდოდა თავი დამეხსნა ქალაქისგან, ტანსაცმლისგან, ქორწინებისგან, სხეულისგან, ყველაფრისგან. ცხენს სიქა გავაძრე, ვაიძულებდი არ შეჩერებულიყო და როცა მეტი აღარ შეეძლო, ეტლიდან გადმოვხტი და ღამის წყვდიადში ფეხით გავრბოდი იქამდე, სანამ არ დავეცი და ფერდი არ ვიტკინე. მინდოდა ყველაფერს გავქცეოდი და ამავე დროს რაღაცისკენ მივილტვოდი. გესმის, ძვირფასო?’’ | |
| | |

| | |
|---|---|
| ელიზაბეთი სკამიდან წამოხტა და ოფისში სიარულს მოჰყვა. ექიმ რიფს ეჩვენებოდა, რომ ასეთი სიარული ადრე არასდროს ენახა. მთელი მისი სხეული ნარნარი რხევა და რიტმი იყო, რომელიც ექიმზე დამათრობლად მოქმედებდა. როდესაც ქალი ექიმს მიუახლოვდა და მის გვერდით იატაკზე ჩაიჩოქა, კაცმა მკლავები მოხვია და ვნებიანად დაუწყო კოცნა. „უკანა გზაზე განუწყვეტლივ ვტიროდი.“ - თქვა მან და შეეცადა მისი ახირებული გასეირნების ამბავი ბოლომდე მიეყვანა, მაგრამ ექიმი აღარ უსმენდა. „ჩემო ძვირფასო! ჩემო ძვირფასო! ჩემო მშვენიერო!“ - ლუღლუღებდა იგი და ეგონა, რომ მკლავებში ორმოცდაერთი წლის ღონემიხდილი ქალი კი არა, მშვენიერი უბიწო გოგონა ჰყავდა მომწყვდეული, რომელიც რაღაც სასწაულით სნეული ქალის სხეულის გარსიდან თავიდან იშვა. | |
| ქალი, რომელსაც ექიმი რიფი ასე ვნებიანად ეალერსებოდა, ექიმს მის გარდაცვალებამდე აღარც უნახავს. ზაფხულის იმ დღეს, ექიმის ოფისში, როცა მათ ცოტა დააკლდათ, რომ საყვარლები გამხდარიყვნენ, ერთმა უბრალო და უაზრო შემთხვევამ ამ სასიყვარულო თავგადასავალს წერტილი დაუსვა. როცა კაცი და ქალი ჩახუტებულები იყვნენ, ოფისის კიბეზე მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა. წყვილი ფეხზე წამოვარდა და აკანკალებულები სმენად იქცნენ. ხმაური პარიზის ქსოვილებისა და აქსესუარების კომპანიის კლერკის ფეხის ხმამ გამოიწვია. კლერკმა ცარიელი ყუთი დერეფანში დაყრილ ძველმანების გროვაზე ხმაურით მოისროლა და კიბეზე დაეშვა. თითქმის იმწუთშივე ელიზაბეთი კლერკს უკან გაყვა. ერთადერთ მეგობართან საუბრის დროს მოულოდნელად გაღვიძებული გრძნობა ქალში ისევე მოულოდნელად ჩაკვდა. ქალიც და კაციც ისტერიკაში ჩავარდნენ და საუბრის გაგრძელების ყველანაირი სურვილი დაკარგეს. როცა ქალი ქუჩაში გავიდა, სისხლი ჯერ კიდევ უდუღდა, მაგრამ როგორც კი მეინ სთრითზე გადაუხვია და თვალი ნიუ უილარდ ჰაუზის სინათლეებს გაუსწორა, კანკალმა აიტანა და მუხლები ისე მოეკვეთა, რომ ეგონა ქუჩაში დაეცემოდა. | |
| სნეულმა ქალმა ცხოვრების ბოლო თვეები | |

| | |
|---|---|
| სიკვდილის მოუთმენელ მოლოდინში გაატარა. სიკვდილის გზაზე იდგა, სიკვდილს ესწრაფვოდა და ელოდებოდა. სიკვდილი ადამიანური სახით წარმოედგინა, რომელიც ხან მთებზე მორბენალი შავთმიანი ძლიერი ჭაბუკი იყო და ხანაც ათას ვაებაგამოვლილი მშვიდი პირქუში მამაკაცი. ქალმა ხელი საბნის ქვემოდან გამოაცურა, ეგონა, რომ სიკვდილმაც, ვითარცა ცოცხალმა არსებამ, მას ხელი გამოუწოდა. „მოითმინე, საყვარელო," - წაიჩურჩულა ქალმა. - დარჩი ისევ ახალგაზრდა და მშვენიერი." | |
| იმ საღამოს, როცა სიკვდილმა ქალს თვალებში ჩახედა და არ აცალა, რომ ჯორჯისთვის გადამალული რვაასი დოლარის შესახებ ეთქვა, ქალი ლოგინიდან ჩამოძვრა და იატაკზე ხოხვით, სიკვდილს ემუდარებოდა, მისთვის სიცოცხლის კიდევ ერთი საათი ეჩუქებინა. „დაიცადე, ძვირფასო! ბიჭი! ბიჭი! ბიჭი!" - იხვეწებოდა იგი და მთელი ძალით ცდილობდა მკლავებიდან დასხლტომოდა სატრფოს, რომელიც ასე ძლიერ ესურვილებოდა. | |
| | |
| ელიზაბეთი მარტის თვეში გარდაიცვალა. იმ წელს მისი ვაჟიშვილი ჯორჯი თვრამეტი წლის გახდა. ყმაწვილმა დედის სიკვდილი თავიდან წესიერად ვერც გააცნობიერა. ამისთვის ალბათ დრო იყო საჭირო. ერთი თვის განმავლობაში ბიჭი ლოგინს მიჯაჭვულ გაფითრებულ, უმოძრაო, დამუნჯებულ დედას უყურებდა, შემდეგ კი, ერთ დღეს, ბიჭი დერეფანში ექიმმა გააჩერა და რამდენიმე სიტყვა უთხრა. | |
| ბიჭი თავის ოთახში შევიდა და კარი მიიხურა. მუცლის არეში უცნაურ სიცარიელეს გრძნობდა. რამდენიმე წუთის განმავლობაში იჯდა და იატაკს მიშტერებოდა. შემდეგ, უცბად წამოხტა და ქუჩაში გავარდა. სადგურის ბაქანს გაუყვა, დასახლებულ უბნებში იხეტიალა, საშუალო სკოლის შენობას ჩაურა. მთლიანად თავის საქმეებზე ფიქრობდა. დედის სიკვდილის ფაქტი ჯერ კიდევ ვერ გაეაზრებინა და სინამდვილეში ცოტა გაბრაზებულიც კი იყო, რომ დედამისი სწორედ | |

| | |
|---|---|
| იმ დღეს მოკვდა. ცოტა ხნის წინ ქალაქის ბანკირის ქალიშვილისგან ჰელენ უაითისაგან, საპასუხო ბარათი მიიღო. „ამ ღამეს შემეძლო წავსულიყავი და მენახა. ახლა კი უნდა გადაიდოს," - ფიქრობდა განაწყენებული. | |
| ელიზაბეთი პარასკევს შუადღეს, სამ საათზე გარდაიცვალა. დილიდან ციოდა და წვიმდა, მაგრამ შუადღეს მზე გამოვიდა. სიკვდილამდე ექვსი დღის განმავლობაში ქალი დამბლადაცემული იწვა, ვერ მეტყველებდა და ვერც მოძრაობდა, მხოლოდ მისი ტვინი და თვალები ცოცხლობდნენ. ამ ექვსი დღიდან სამი დღე იბრძოდა, თავის ბიჭზე ფიქრობდა, ცდილობდა მისი მომავლის შესახებ რაღაც ეთქვა და მისი თვალები ისეთი მუდარით იყო აღსავსე, რომ ვინც კი იმ დღეებში ნახა, მომაკვდავი ქალის სახე დიდხანს დაამახსოვრდა. ტომ უილარდმაც კი, რომელიც ცოლზე მუდამ განაწყენებული იყო, წყენა დაივიწყა. კაცის თვალებიდან წამსკდარი ცრემლები მის ულვაშებში გაჩერდა. დიდი ხანია ტომი გაჭაღარავებულ ულვაშებს იღებავდა. საღებავში ზეთი ერია, ამიტომ, როცა ულვაშებზე დარჩენილ ცრემლებს ხელით იწმენდდა, ჰაერში თხელი ნისლის მსგავსი ორთქლი დგებოდა. მწუხარების ჟამს ტომი ქარბუქში ქუჩაში დარჩენილი პატარა უმწეო ლეკვს წააგავდა. | |
| დედის გარდაცვალების დღეს ჯორჯი სახლში შებინდებისას დაბრუნდა და თავის ოთახში შევიდა, თმა დაივარცხნა და ტანსაცმელი გაიწმინდა. შემდეგ, დერეფნის გავლით იმ ოთახში შევიდა, სადაც მიცვალებული იყო დასვენებული. კარის გვერდით ტუალეტის მაგიდაზე სანთელი ენთო. საწოლთან სკამზე ექიმი რიფი იჯდა. ექიმი ფეხზე წამოდგა და წასასვლელად მოემზადა. ხელი ახალგაზრდა კაცისკენ წაიღო, თითქოს უნდა მისალმებოდა, მაგრამ შემდეგ უხერხულად ჩამოუშვა. ოთახში ორი შეცბუნებული მამაკაცის ყოფნის გამო ჰაერი დამძიმდა და ექიმი ოთახიდან ნაჩქარევად გავიდა. | |
| მიცვალებულის ვაჟი სკამზე ჩამოჯდა და იატაკს დააშტერდა. იგი კვლავ თავის საქმეებზე ფიქრობდა. ჯორჯმა საბოლოოდ გადაწყვიტა | |

| | |
|---|---|
| ცხოვრება შეეცვალა და უაინსბურგი დაეტოვებინა. „სხვა ქალაქში წავალ. იქნებ, რომელიმე გაზეთში ვიშოვო სამუშაო.“ - ფიქრობდა იგი. შემდეგ, გონებით იმ გოგონას დაუბრუნდა, რომელთანაც ის საღამო უნდა გაეტარებინა და ისევ სიბრაზემ წამოუარა, რადგან მოვლენებმა გოგონასთან შეხვედრაში ხელი შეუშალა. | |
| მკრთალად განათებულ ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა, ახალგაზრდა კაცი ფიქრს მიეცა. ბიჭმა თვალები დახუჭა და წარმოიდგინა, რომ ჰელენ უაითის ნორჩი წითელი ტუჩები მის ტუჩებს შეეხო. ბიჭს ტანში გააჟრჟოლა და ხელები აუკანკალდა. შემდეგ კი რაღაც მოხდა. ბიჭი ფეხზე წამოვარდა და ერთ ადგილზე გაშეშდა. ზეწრის ქვეშ მიცვალებულის სხეულს დახედა და უცებ თავისი ფიქრების გამო ისე შერცხვა, რომ ქვითინი აუვარდა. მის გონებაში ახალი აზრი დაიბადა. ბიჭი შებრუნდა და დამნაშავესავით იმზირებოდა, თითქოს ვიღაც უთვალთვალებდა. ჯორჯს უილარდს სიგიჟემდე მოუნდა დედამისის სხეულისთვის ზეწარი გადაეძრო და მიცვალებულის სახე დაენახა. ამ ფიქრმა მთელი არსებით შეიპყრო. დარწმუნებული იყო, რომ მის წინ დედამისის ნაცვლად ვიღაც სხვა იწვა. ეს რწმენა იმდენად რეალური იყო, რომ თითქმის აუტანელი გახდა. ზეწრის ქვეშ დასვენებული გვამი უფრო გრძელი იყო  და ახალგაზრდულად და გრაციოზულად გამოიყურებოდა. ბიჭს, რომელსაც უცნაური ფანტაზიები დაეუფლა, იგი ზღაპრულად მშვენიერი მოეჩვენა. თითქოს მშვენიერი ქალი ცოცხალი იყო, რამდენიმე წუთში საწოლიდან წამოხტებოდა და მის წინ დადგებოდა. ეს ისეთი დამთრგუნველი იყო, რომ ბიჭს ამის  გაძლება აღარ ძალუძდა. ბიჭმა ხელი რამდენჯერმე გაიშვირა, მაგრამ როცა სხეულზე გადაფარებულ თეთრ ზეწარს შეეხო და ოდნავ გადაწია, გაბედულებამ უმტყუნა, ექიმი რიფის მსგავსად შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა. დერეფანში შეჩერდა და ისეთი კანკალი აუვარდა, რომ თავის შესამაგრებლად ხელით კედელს მიეყრდნო. „ეს დედაჩემი არ არის. იქ დედაჩემი არ წევს.“ - ჩურჩულებდა თავისთვის და სხეული კვლავ შიშისგან და ეჭვებისგან უთრთოდა.  როცა მეზობელი ოთახიდან დეიდა ელიზაბეთ სვიფტი | |

| | |
|---|---|
| გამოვიდა, ბიჭმა ხელი ხელში ჩასჭიდა და ქვითინი აუვარდა. დამწუხრებული თავს აქეთ-იქით აქნევდა. „დედაჩემი მოკვდა.“ - თქვა მან. შემდეგ ქალისგან პირი იბრუნა და იმ კარს მიაშტერდა, სადანაც ცოტა ხნის წინ გამოვიდა. „ძვირფასი, ძვირფასი, საყვარელი.“ - ხმამაღლა ჩურჩულებდა რომელიღაც გარეშე ძალის კარნახით. | |
| | |
| | |
| ის რვაასი დოლარი კი, რომელსაც გარდაცვლილი ამდენ ხანს მალავდა და რომელსაც ჯორჯ უილარდისთვის ქალაქში ცხოვრების ხელახლა დაწყების შანსი უნდა მიეცა, დედამისის საწოლის ფეხის გვერდით, ბათქაშის უკან ჩადებულ თუნუქის ყუთში ინახებოდა. ქორწინებიდან ერთი კვირის შემდეგ ელიზაბეთმა ბათქაში ჯოხით გამოთხარა და ფული იქ დამალა. გამოთხრილი კედელი ქმრის მიერ სასტურმოს რემონტის დროს დაქირავებულ ერთ-ერთ მუშას შეალესინა. „შემთხვევით საწოლის კუთხე მივარტყი .“- ასე იმართლა თავი ქმართან, რადგან იმ წუთში არ შეეძლო უარი ეთქვა თავისუფლების ოცნებაზე. იმ თავისუფლებისა, რომელიც სიცოცხლეში სულ ორჯერ განიცადა თავის მიჯნურებთან - სიკვდილთან და ექიმ რიფთან წამიერი სასიყვარულო ურთიერთობის დროს. | |